საქართველოს
პარლამენტი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ფამფ. 26

N 14953
06/09/2018

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტი წევრების გოჩა ენუქიძის და ივლიანე წულაიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესითაა წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/185/9; 31-05-2018)

წარმოდგენილი კანონპროექტით მიზნადაა დასახული საინვესტიციო ბინადრობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების თანამედროვე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კანონპროექტით გათვალისწინებულია, როგორც ინვესტიციათა მინიმალური ოდენობების ზრდა, ისე, კონტროლის ეფექტური მექანიზმების შემოღება.

კანონპროექტზე წამყვანი კომიტეტია - იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. კანონპროექტის I მოსმენით განხილვის ვადაა 11 სექტემბერი.

კანონპროექტთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები და მიზანშეწონილია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის განხილვის ვადა გაგრძელდეს ორი კვირით.

პატივისცემით,

ეკა ბესელია

თავმჯდომარე